

გურიისა და აჭარის რეგიონში არსებული ტყის ეკოლოგიური ანალიზი,
ტყის ეროვნული
ინვენტარიზაციის მონაცემების საფუძველზე

სოფიკო ფასოევი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე
ბუნებათსარგებლობის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ბუნებათსარგებლობა (Msc)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლაშა ძაძამია, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არის მოხსენიებული ციტირების სათანადო წესების დაცვის გარეშე.

სოფიკო ფასოევი

12.07.2020

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი იყო ძირითადი ტყის ტიპების ეკოლოგიური ანალიზის ჩატარება სახეობათა მრავალფეროვნებასა და განახლების პოტენციალის კონტექსტში. განსაკუთრებით კი გურიისა და აჭარის რეგიონებში ტყის განახლების რაოდენობრივ-ხარისხობრივი შესწავლა, ასევე დადგენა, თუ რა ფაქტორები მოქმედებს ტყის განახლებაზე, დამოკიდებულია თუ არა ხეთა ვარჯის შეკრულობაზე, სიმაღლის მატებაზე ზღვის დონიდან, ექსპოზიციაზე, პირუტყვის ძოვებასა და სხვა ცვლადებზე.

კვლევაში გამოყენებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორის თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ, 2019 წელს გურიისა და აჭარის რეგიონში განხორციელებული ტყის ეროვნული აღრიცხვის მონაცემები. მონაცემთა შეგროვება ორივე რეგიონში წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის მიხედვით განხორციელდა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია მონაცემთა სიზუსტისთვის.

მონაცემთა ანალიზის შედეგად შეფასდა მოზარდ-აღმონაცენი და დადგინდა, რომ მოცემული რეგიონებისთვის ტყის განახლება დამაკმაყოფილებელია, ასევე დადგინდა რომ რეგიონებში შეინიშნება მაღალი სახეობრივი მრავალფეროვნება, განსაკუთრებით აჭარის რეგიონში. ასევე დადგინდა რომ მოზარდ-აღმონაცენზე გავლენას არ ახდენს ისეთი ცვლადები, როგორცაა ფერდობის ექსპოზიცია და სიმაღლის ცვლადებადობა ზღვის დონის მიხედვით. ასევე არასარწმუნო კორელაციაა სხვა ცვლადების მიმართ, კერძოდ: ვარჯის შეკრულობასა და მოზარდ-აღმონაცენის ინტენსივობას შორის. რაც შეეხება მოზარდის არსებობას და პირუტყვის ძოვების ურთიერთკავშირს გამოიკვეთა, რომ მოზარდ-აღმონაცენის ყველაზე მეტი რაოდენობა ფიქსირდება იმ ტერიტორიებზე, სადაც შეინიშნება პირუტყვის საშუალო ან ინტენსიური ძოვება.

საძიებო სიტყვები: ტყის განახლება, კოლხური ტყეები, ტყის ეროვნული ინვენტარიზაცია

Abstract

The research was carried out to do ecological analysis of the main forest types in terms of species diversity and regeneration potential. Particularly, qualitative and quantitative assessment of forest regeneration in the regions of Guria and Adjara, also to find out whether crown closure, elevation, stand exposition, browsing and other factors could be impacting the forest regeneration.

The research is based on National Forest Inventory data collected by the Ministry of Agriculture and Environmental Protection together with GIZ in 2019 in the regions of Guria and Adjara. The methodology for collecting the data was predetermined, that is a key factor for data accuracy.

Regeneration assessment through the data analysis showed that the forests in the above-mentioned regions can be considered to have satisfactory regeneration and a high species richness, significantly in Adjara. Stand exposition and variation in altitude didn't result to have an impact on forest regeneration. Also, there's an inconclusive correlation between regeneration intensity and crown closure. Regarding the relation between regeneration and browsing, regeneration appeared to be highest on territories with moderate or intensive browsing.

Keywords: Forest regeneration, Colchic forests, NFI

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ლაშა ძაძაძიას მისი დროის, ენერჯისა და იდეებისთვის, რის გარეშეც ამ კვლევის ჩატარება ჩემთვის შეუძლებელი იქნებოდა.

მადლობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასევე GIZ-ს იმისთვის, რომ კვლევის ჩასატარებლად წვდომა მომცა მონაცემებზე.

მადლობა ჩემს ფაკულტეტს ხელშეწყობისთვის. ასევე, მადლობა ჩემს მეგობარ ნანა წიქვაძეს მოტივაციისთვის.